ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №2015-95

ქ.თბილისი

17 დეკემბერი, 2015 წ.

ერთი მხრივ, **ერედვის მუნიციპალიტეტი** (ს/კ 218065055), წარმოდგენილი ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელის ოთარ ცოტნიაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორე მხრივ, **შ.პ.ს ,,OK&CG"** (ს/კ 406053194) (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ოთარ კაჭკაჭაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (მე-3 მუხლის "ს[1]" ქვეპუნქტი) მოთხოვნათა შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ერედვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით მომსახურების (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა.

1.2 მომსახურების შესყიდვა გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ყველა ინსტანციის სასამართლოში იურიდიული მომსახურების გაწევას გია ქრისტესიაშვილთან არსებულ დავაში.

1.3 შესყიდვის საშუალება: გამარტივებული შესყიდვა.

2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 2 000 (ორი ათასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან გია ქრისტესიაშვილთან არსებულ დავაზე სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

3.2. მომსახურების გაწევა ხორციელდება სამივე ინსტანციის სასამართლოში (საქალაქო, სააპელაციო საკასაციო).

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მომსახურების გაწევისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით, ერედვის მუნიციპალიტეტის 2015-2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან (2015 წელს 500 ლარი, 2016 წელს 1500 ლარი).

5.2. გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოსა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

ა. მიაწოდოს ,,შემსრულებელს" მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, ინფორმაციის მატარებელი ან დოკუმენტი, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან.

ბ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება;

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი, ჯეროვანი და კვალიფიციური შესრულება.

ბ. ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება და უარი თქვას ინტერესების დაცვაზე. ასეთი პირობის დადგომის შემთხვევაში საადვოკატო იურიდიული მომსახურების ხარჯი არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა. მიაწოდოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, სათანადო გამოცდილების, ცოდნისა და უნარების მქონე პირების მეშვეობით;

ბ. იმოქმედოს კეთილსინდისიერად, სასამართლოში საქმის სრულფასოვნად წარმართვისა და განხილვისათვის მოამზადოს აუცილებელი დოკუმენტები, მათ შორის სარჩელი, საჩივარი (საჭიროების შემთხვევაში სააპელაციო და საკასაციო) შუამდგომლობა, განცხადება.

გ. იმოქმედოს დამკვეთის საუკეთესო ინტერესისა და მითითებების შესაბამისად, გამოცხადდეს და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო პროცესებზე.

დ. შემსყიდველის წინააღმდეგ არ გამოიყენოს მის მიერ მიწოდებული ან საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

6.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

7. კონფიდენციალურობა

,,მიმწოდებელი" ვალდებულია ,,შემსყიდველის" ნებართვის გარეშე (რომელიც გაცემული უნდა იყოს წერილობითი ფორმით) არ გაახმაუროს/გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს კონფიდენციალური ინფორმაცია - ინფორმაცია, რომელიც ზეპირსიტყვიერად, წერილობით ან ელექტრონულად მისთვის ცნობილი გახდა მომსახურების გაწევის (წარმომადგენლობის) დროს, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მიჩნეულია საჯარო ინფორმაციად და ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით მათი გაცნობა შეუძლია ნებისმიერ პირს.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს 10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულდა და ჯეროვნად შესრულებამდე.

12. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ორი - მიმწოდებელს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

„მიმწოდებელი“
"შ.პ.ს OK&CG''
თბილისი, პეკინის #8
საიდენტიფიკაციო კოდი: 406053194
ანგარიშსწორების რეკვიზიტები:
მიმღების ბანკი - სს ,,პროკრედიტ ბანკი''
ბანკის კოდი - MIBGGE22
მიმღების ანგარიში: GE86PC0293600100012991

ოთარ კაჭკაჭაშვილი
დირექტორი

„შემსყიდველი“
"ერედვის მუნიციპალიტეტი"
თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ#89/24
ს/კ: 218065055 ტელ: 595 053737
ანგარიშსწორების რეკვიზიტები:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი: TRESGE22
ა/ა GE24MB0330100200165022

ოთარ ცოტნიაშვილი
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

2015 წლის 12 ნოემბერი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ "ერედვის მუნიციპალიტეტის" მიერ, იურიდიული მომსახურების შესყიდვის განხორციელებაში, რომლის მოწოდებას ახორციელებს **შ.პ.ს „OK&CG"**, ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

ოთარ ცოტნიაშვილი